


№6 / 2008წ / 

ყოველთვიური ჩანართი

# აჭარის მუნიციპალიტეტებში მიზნობრივი პროგრამები არასრულყოფილია

არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მეშვიდე თვეა ახორციელებს პროექტს: „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“. მიუხედავად მიმდინარეობის მცირე ხნისა, პროექტს დიდი მოწონება და გამოხმაურება მოჰყვა, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ისე მოსახლეობის მხრიდან.

„თემთა მობილიზაციის ინიციატივის“ მიმართ მოსახლეობა დადებითად არის განწყობილი და იმედი აქვთ, რომ პროექტის მესამე ნაწილში, საკრებულოში პროექტების განხილვისას, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში საინიციატივო ჯგუფი წარადგენს არჩეულ პრობლემაზე შედგენილ მიზნობრივ პროგრამას, სწორედ მოსახლეობის მიერ არჩეული პრობლემები დაფინანსდება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ,,ინტელექტმა“ აჭარის ხუთი (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მუნიციპალიტეტიდან საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა მიზნობრივი პროგრამები, რომლებიდანაც არც ერთ მიზნობრივ პროგრამას არ ჰქონდა სრულყოფილი სახე.

ამიტომ გადავწყვიტეთ მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა „ინტელექტის“ ეკონომისტ-ექსპერტების მიერ შემუშავებული მიზნობრივ პროგრამა: ,,ხალას თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე“, რომელიც აკმაყოფილებს ყველა იმ კრიტერიუმს, რაც მიზნობრივ პროგრამას მოეთხოვება. ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურები გადახედავენ ამ მიზნობრივ პროგრამას, და სამომავლოდ შეეცდებიან მათ მიერ შემუშავებული მიზნობრივი პროგრამები უფრო დახვეწილი და სრულყოფილი სახის მატარებელი იყოს.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამა**

**პროგრამის მოქმედების პერიოდი:** 2008 წელი

**პროგრამის ბიუჯეტი:** 44 334,00 ლარი

**1. პროგრამის სახელწოდება**

ხალას თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

**2. პროგრამის დაწყებისა და დასრულების თარიღი**

**პროგრამის დაწყების თარიღი:** 1 ივნისი 2008 წ.

**პროგრამის დასრულების თარიღი:** 30 ოქტომბერი 2008 წ.

**3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი**

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 44 334,00 (ორმოცდაოთხი ათას სამას ოცდათოთხმეტი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

**ძირითადი:** ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი — 44 334,00 ლარი;

**დამატებითი:** დამატებითი დაფინანსების წყარო პროგრამას არ გააჩნია.

**5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო**

მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

6. პრობლემის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც მომზადდა პროგრამა

**პრობლემის აღწერა:**

დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მოსახლეობისთვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემსუბუქება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერა წარმოადგენს, რომელიც მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების შექმნასა და მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

ხალას თემი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში. მისი ფართობი შეადგენს 1 700 ჰა-ს, რელიეფი მთაგორიანია. თემის მოსახლეობა შეადგენს 3 600 ადამიანს. ხალას თემი განლაგებულია აჭარის რეგიონის ძირითად სამრეწველო და ტურისტულ ცენტრებთან ახლოს. თემი ქალაქ ბათუმიდან დაშორებულია 14 კმ.-ით ხოლო ქალაქ ქობულეთიდან — 12 კმ.-ით.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია მეციტრუსეობით, მესაქონლეობითა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე დასაქმებულია ქ. ბათუმის სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე, მცირე ნაწილი კი ტურიზმის სფეროში.

დღეისათვის ხალას თემში არ არსებობს საბავშვო ბაღი, რომელიც ხალას თემის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საბავშვო ბაღის არარსებობით გამოწვეული პრობლემები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

ბაღის არარსებობა ხელს უშლის სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვების განვითარებას და მათ მომზადებას სასკოლო განათლებისათვის;

პრობლემა ექმნება მშობლების იმ კატეგორიას, რომლებიც დასაქმებული არიან და სამუშაო საათებში სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვებისათვის ვერ ახერხებენ საჭირო ყურადღების დათმობას;

საბავშვო ბაღის არ არსებობა ასევე პრობლემებს უქმნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი, თუმცა გააჩნიათ შრომით ბაზარზე მოთხოვნილი საჭირო განათლება ან პროფესიული უნარჩვევები, მაგრამ არ აქვთ საშუალება სამუშაო საათებში შვილები საბავშვო ბაღში მიაბარონ.

ხალას თემში საბავშვო ბაღის არარსებობის გამო მოსახლეობა იძულებულია ბავშვები დაბა ჩაქვის საბავშვო ბაღში ატაროს, რომელიც თემიდან 7 კმ-ითაა დაშორებული, რის გამოც მოსახლეობას ყოველდღიურად აღნიშნული მანძილის გავლა უხდება.

დღეისათვის, ხალას თემში დაახლოებით 80-მდე სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვია. ამას ემატება ანალოგიური პრობლემის წინაშე მდგომი ხალას თემის მეზობლად მდებარე ჩაისუბნის თემიც (არც აქ აქვთ საბავშვო ბაღი). აღნიშნული ბაღით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ ჩაისუბნის თემში მცხოვრებ ბავშვებსაც. ჩაისუბანში ბაღის ასაკის 60-მდე ბავშვია. სულ ხალასა და ჩაისუბნის თემში კი 140-მდე. მათგან მხოლოდ 10% (14 ბავშვი) იღებს სკოლამდელ განათლებას. ხოლო ხალას თემში საბავშვო ბაღის გახსნის შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 25%-მდე (35 ბავშვი).

ხალას თემში გამგეობის ბალანსზე არსებულ ორართულიანი შენობის პირველ სართულზე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული საბავშვო ბაღის განთავსება, შენობის მეორე სართულზე ხალას თემის ამბულატორიაა განლაგებული. საბავშვო ბაღის განთავსებისათვის აუცილებელია შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ:

– ბეტონის მოჭიმვა იატაკზე;
– ხის იატაკის მოწყობა ფიცრით;
– მოჭიქურებული კერამიკის ფილების დაგება;
– კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
– კედლების შეღებვა ზეთოვანი საღებავით;
– კედლების მოპირკეთება მოჭიქურებული კერამიკული ფილებით;
– კარ-ფანჯრის მონტაჟი;
– წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
– საბავშვო ბაღის აღჭურვა ინვენტარით.

ახალი საბავშვო ბაღის გახსნა ასევე ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც დღეისათვის ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნულ საბავშვო ბაღში დასაქმდება 5 ადამიანი: დირექტორი, ორი აღმზრდელი, დამლაგებელი და დარაჯი. ბაღი იფუნქციონირებს 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

2007 წლის 21 დეკემბერს ხალას თემში ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრება თემში არსებული პრობლემების გამოკვეთისა და პრიორიტიზაციის მიზნით. თემის მოსახლეობამ დასახელებულ პრობლემათაგან ყველაზე უფრო პრიორიტეტულად თემში საბავშვო ბაღის არარსებობის პრობლემა მიიჩნია. შესაბამისად, თემის მოსახლეობის გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო წინამდებარე მიზნობრივი პროგრამის შემუშავებას და დამტკიცებას.

**7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები**

**პროგრამის მიზნები:**

1. ხალას თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
2. სკოლამდელი აღზრდის ასაკის მოზარდების განვითარება და მათი მომზადება სასკოლო განათლებისათვის

**მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

1. რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი
2. სასწავლო პროცესის დაწყება საბავშვო ბაღში და შემდგომში მისი ფუნქციონირება

**8. პროგრამის ამოცანები**

| № | პროგრამის ამოცანები | ამოცანის პრიორიტეტულობა | შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|---|
| 1 | საპროექტო სამუშაოების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების შესყიდვა | 20 | საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა |
| 2 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის | 30 | 2.1 კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული პირი;<br>2.2 კონკურსში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>2.3 შესრულებული სამუშაოების მიღების დოკუმენტაცია |
| 3 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის ინვენტარით აღჭურვისათვის | 30 | 3.1 კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული პირი;<br>3.2 კონკურსში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>3.3 შესრულებული სამუშაოების მიღების დოკუმენტაცია |
| 4 | კონკურსის ჩატარება საბავშვო ბაღის საშტატო ერთეულებით დაკომპლექტების მიზნით | 10 | შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებული, გამგეობის მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულები |
| 5 | მონიტორინგი მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე | 5 | ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნები სარეაბილიტაციო სამუშაოების წინამდებარე მიზნობრივ პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ |
| 6 | შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება; | 5 | სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტი. |
| ჯამი: | | 100 | |

**9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით**

| № | საქმიანობა | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპროექტო სამუშაოების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების შესყიდვა | ■ | | | | |
| 2 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის | | ■ | ■ | ■ | |
| 3 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის ინვენტარით აღჭურვისათვის | | | | ■ | |
| 4 | კონკურსის ჩატარება საბავშვო ბაღის საშტატო ერთეულებით დაკომპლექტების მიზნით | | | | ■ | |
| 5 | მონიტორინგი მიზნობრივი პროგრამის განხორციელებაზე | | ■ | ■ | ■ | ■ |
| 6 | შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება | | | | | ■ |

**10. პროგრამის მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია**

| № | მომხმარებელთა კატეგორია | რაოდენობა | პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხალას თემის მოსახლეობა. მათ შორის: | 700 | მოსახლეობის სკოლამდელი აღზრდის პირობებით უზრუნველყოფა | საბავშვო ბაღში ბავშვების მიღებისას უპირატესობა მიენიჭებათ ხალას თემის აღსაზრდელებს. ჩაისუბნის თემიდან აღსაზრდელები მიიღებიან მხოლოდ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში |
| | სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვი | 20 | სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელება | |
| | მოსამსახურე | 5 | შესაბამისი განათლების მქონე შრომისუნარიანი ადამიანების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა | |
| 2 | ჩაისუბნის თემის მოსახლეობა. მათ შორის: | 640 | მოსახლეობის სკოლამდელი აღზრდის პირობებით უზრუნველყოფა | |
| | სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვი | 15 | სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სასწალო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელება | |
| | **სულ:** | 1340 კომლი | | |

### 11. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დაფინანსება
დაფინანსება წლების მიხედვით, წყაროს დასახელება:
ძირითადი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი: 44 334,00
დამატებითი: დამატებითი დაფინანსება პროგრამას არ გააჩნია 0,,00
სულ 2008 წელს: 44 334,00

**დაფინანსება საანგარიშო წელს**

| წყაროს დასახელება | 2008 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვარტალი | II კვარტალი | III კვარტალი | IV კვარტალი | სულ |
| ძირითადი | 0,00 | 7 820,00 | 33 163,00 | 3 351,00 | 44 334,00 |
| დამატებითი | | | | | |
| სულ: | 0,00 | 7 820,00 | 33 163,00 | 3 351,00 | 44 334,00 |

**პროგრამის ხარჯები, ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით**

| № | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება | ზომის ერთეული | საჭირო რაოდენობა | ერთეული ფასი | სულ ღონისძიების ხარჯი | ხარჯის წილი მთლიან ხარჯებთან მიმართებაში (%) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2008 წელი | | | | | | |
| I. მიმდინარე ხარჯები | | | | | | |
| 1. | შესასრულებელი სამუშაოების მონიტორინგი | | | | | |
| 1.1 | სამივლინებო ხარჯები | 1 თვე | 5 | 110,00 | 550,00 | 1,2 % |
| 1.2 | საკომუნიკაციო ხარჯები | ცალი | 5 | 15,00 | 75,00 | 0,2 % |
| სულ მიმდინარე ხარჯები: | | | | | 625,00 | 1,4 % |
| II. კაპიტალური ხარჯები | | | | | | |
| 1. | ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება | | | | | |
| 1.1 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება | | | | | |
| 1.1.1 | საპროექტო სამუშაოების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების შესყიდვა | ცალი | 1 | 3 500,00 | 3 500,00 | 7,9 % |
| 1.1.2 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის | ცალი | 1 | 21 909,00 | 21 909,00 | 49,4 % |
| 1.1.3 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის ინვენტარით უზრუნველყოფისათვის | ცალი | 1 | 18 300,00 | 18 300,00 | 41,3 % |
| სულ კაპიტალური ხარჯები: | | | | | 43 709,00 | 98,6 % |
| მთლიანი ხარჯები (I+II) | | | | | 44 334,00 | 100% |

### 12. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვა

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა | შესყიდვის განხორციელების ვადები | შესყიდვის განხორციელების ფორმა | შესყიდვისთვის დაგეგმილი თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | საპროექტო სამუშაოების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების შესყიდვა | 1 ივნისი<br>31 ივნისი | ფასთა კოტირება | 3 500 | |
| 2. | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის | 1 ივლისი<br>31 სექტემბერი | ტენდერი | 21 909 | |
| 3 | სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება საბავშვო ბაღის ინვენტარით უზრუნველყოფისთვის | 1 სექტემბერი<br>31 სექტემბერი | ტენდერი | 18 300 | |

### 13. დამატებითი ინფორმაცია

**პროგრამა შემუშავებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 200– წლის –– აგვისტოს მიღებული" ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის" მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად კვარტალური და წლიური ანგარიშგება განხორციელდება ზემოხსენებული ინსტრუქციით მოთხოვნილი წესებისა და ფორმების სრული დაცვით.**

**პროგრამის საფუძველია ხალას თემში ჩატარებული მოსახლეობის საერთო კრება, რომელიც 2007 წლის 21 დეკემბერს ჩატარდა.**

**კრებაზე გამოვლენილ იქნა რამდენიმე პრობლემა, რომელთაგანაც მოსახლეობის მიერ პრიორიტეტი მიენიჭა ხალას თემში საბავშვო ბაღის არარსებობის პრობლემას.**

**პროგრამის შემდგენი ორგანოს ხელმძღვანელი ––––––––––––**
**(ხელმოწერა)**

**გვარი, სახელი და თანამდებობა:**
**„–––" –––––––––––– 2008წ.**

# მოუვლელი წყალმომარაგების სისტემები

## რა შედეგებს უნდა ველოდეთ თუ ეს პრობლემები არ გადაწყდა?



ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, რომელიც ერთნაირად აწუხებს, როგორც მაღალმთიან, ისე სანაპირო ზონაში მდებარე თემებს. სასმელი წყალი კი იმ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის და მისი უქონლობა საშიშია სანიტარული მდგომარეობის გაუარესებისათვის, ხოლო მოსახლეობაზე დაბინძურებული წყლის მიწოდება ზრდის სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გაჩენის შესაძლებლობას.

„ინტელექტმა" პრობლემების კვლევის მიზნით აჭარის სამოცდასამივე თემში მოსახლეობის საერთო კრებები ჩაატარა, რომლებზეც გაირკვა, რომ სასმელი წყლის პრობლემა ყველაზე მეტად აწუხებს 10 თემს: ხუცუბნის, კვირიკესა და ოჩხამურის თემს ქობულეთში; გონიოს, თხილნარის, ახალშენის, ორთაბათუმისა და შარაბიძეების თემს ხელვაჩაურში; დაბა ქედის თემს ქედაში, ხოლო დაბა შუახევის თემს შუახევის მუნიციპალიტეტში.

პრობლემა ყველგან მწვავედ დგას. წყლის სისტემის სათავე ნაგებობები მოშლილია და საჭიროებს რეაბილიტაციას, აგრეთვე, დაზიანებულია წყლის მილები, რაც იწვევს წყლის დიდ დანაკარგს და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. (პრობლემები ყველგან მსგავსია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმეს აღვწერთ, დაინტერესებულ პირებს კი დეტალური ინფორმაცია შეუძლიათ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის" ოფისში მიიღონ).

ახალშენის თემში 8 605 ადამიანი ცხოვრობს და 50%-ზე მეტს სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს. თემს წყლით რამდენიმე მცირე და დიდი წყალმომარაგების სისტემა უზრუნველყოფს, რომელთაგან მნიშვნელოვანია ორი მაგისტრალი. ესენია: ახალშენი-სამება-სალიბაურისა და ახალშენი-ქვედა განახლება, რომლებზეც მოშლილია სათავე ნაგებობები, წყალი სისტემაში პირდაპირ მდინარიდან ჩაედინება, რის გამოც წყალი ხშირად დაბინძურებულია, განსაკუთრებით კი წვიმის დროს.

გონიოს თემის მოსახლეობაც, ახალშენის თემის მსგავსად, წყლის არ ქონას უჩივის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ გონიო ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს და ქვეყნის მასშტაბით ტურისტული პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, ამ თემში პრობლემის მოგვარება ორმაგად მნიშვნელოვანია. გონიოში მდებარეობს ბუნგალოები, რამდენიმე სასტუმრო, სასტუმროს ტიპის სახლები და სხვა გასართობი თუ დასასვენებელი ობიექტები, რომლებიდანაც ადგილობრივ, ავტონომიური რესპუბლიკისა და სახელმწიფო ბიუჯეტებში სოლიდური თანხა შედის. თუ წყლის პრობლემა არ იქნება მოგვარებული, შესაძლოა, ათასობით ტურისტმა უარი თქვას აქ დასვენებაზე (შეგახსენებთ, რომ გასულ წელს გონიოში რამდენიმე ათასმა ტურისტმა დაისვენა). თემში 7 207 ადამიანი ცხოვრობს. წყლის მომხმარებელთა რიცხვი ზაფხულში ორმაგად იზრდება, როცა ტურისტები იწყებენ შემოსვლას.

გონიოს თემის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს გონიოს თემში მდებარე წყალმომარაგების ნაგებობა, რომელიც დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას, აგრეთვე დაზიანებულია წყლის მილების 80 %. სათავე ნაგებობა არ იქლორება, რის გამოც მოსახლეობას, ხშირ შემთხვევაში, დაბინძურებული წყალი მიეწოდება, ახალშენის თემის მსგავსად წვიმიანი ამინდი აქაც უშლის ხელს მოსახლეობისთვის სუფთა წყლის მიწოდებას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის კვირიკეს თემის 5 481 ადამიანს წყალი კვირიკეს თემში მდებარე წყალმომარაგების სათავე ნაგებობიდან მიეწოდება, რომელიც, დანარჩენი სათავე ნაგებობების მსგავსად, დაზიანებულია და რეაბილიტაციას საჭიროებს. დაზიანებული მილებიდან წყალი იღვრება, რის გამოც წყლის წნევა მნიშვნელოვნად ეცემა. არის შემთხვევები, როდესაც მილში მოხვედრილი ნარჩენების გამო წყალი საერთოდ წყდება. სისტემა წყალს კვირიკეს თემის 3 სოფელს (კვირიკე, ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე) აწვდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ თემში სათავე ნაგებობას არ გააჩნია ქლორირების სისტემა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას და საშიშს ხდის ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდება და დაავადებების გავრცელების ან გაჩენის საფრთხე მინიმუმამდე შემცირდება. მოვლილი ინფრასტრუქტურა კარგი ფაქტორი იქნება ბიზნესისა და ტურისტული სექტორის განვითარებისათვის, აგრეთვე რეგიონში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისათვის.

პრობლემები გამოკვლეულია, მიზნობრივი პროგრამები შემუშავებულია, რომლებსაც თემებში არჩეული საინიციატივო ჯგუფის წევრები წარადგენენ საკრებულოში განსახილველად. გასარკვევია მხოლოდ დაფინანსების საკითხი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადასაწყვეტია.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა"
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge